შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №1

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2019 წლის 31 დეკემბრის №01/023–19 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

თბილისი **27 მარტი, 2020 წ**.

ერთი მხრივ, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურის უფროსის, შუქია ნაროზაულის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - იუსტიციის სახლი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) ავთანდილ კოხრეიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც – მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და მხარეთა შორის 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული №01/023–19 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულების) 8.3 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების შინაარსი

მხარეთა შორის 2019 წლის 31 დეკემბერს დადებული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ №01/023–19 ხელშეკრულებაში (შემდგომში – ხელშეკრულება) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) ხელშეკრულების 6.3.2. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6.3.2. „შემსყიდველის მხრიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე (ფინანსების დირექტორი) ავთანდილ კოხრეიძე.“;

ბ) ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრულ მხარეთა ტექნიკური მხარდაჭერისთვის საკონტაქტო პირებს შემსყიდველის მხრიდან (შემსყიდველი) დაემატოს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ადმინისტრაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - სალომე ტოხვაძე (საკონტაქტო მონაცემები: ელ. ფოსტა: stokhvadze@psh.gov.ge; ტელ.: 595339283).

მუხლი 2. დამატებითი პირობები

2.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.
2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული **№01/023–19** ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
2.4 წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 28 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურის უფროსი	სსიპ „იუსტიციის სახლის“ აღმასრულებელი დირქტორის მოადგილე (ფინანსების დირექტორი)
_____ შუქია ნაროზაული	_____ ავთანდილ კოხრეიძე